View in browser

DEUTSCHE WIRTSCHAFTS VEREINIGUNG | გერმანიის ეკონომიკური გაერთიანება



ძვირფასო DWV-ს წევრებო და მეგობრებო,

ჩვენს ქართულენოვან ბიზნეს ბიულეტენში ჩვენ თქვენთვის კვლავ შევაჯამეთ სიახლეები DWV-სა და მისი წევრი კომპანიების/პარტნიორების, ჩატარებული და დაგეგმილი ღონისძიებების, წევრების ექსკლუზიური შეთავაზებებისა და მნიშვნელოვანი ბიზნეს სიახლეების შესახებ. ბიულეტენის ბოლოს იხილავთ სპეციალურ შეთავაზებებს ჩვენი მკითხველებისთვის.

იცოდით, რომ

- გერმანიის ინდუსტრიის საერთაშორისო თანამშრომლობის ფონდი "სენიორ ექსპერტთა სერვისი (SES)" გერმანელ ექსპერტებს აგზავნის გერმანიისა და სხვა ქვეყნების კომპანიებში კონსულტირებისა და თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით.
- DWV 2013 წლიდან არის SES-ის ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში და უზრუნველყოფს ექსპერტების მოწვევის ორგანიზებასა და კოორდინირებას.
- მოწვეული ექსპერტები უზრუნველყოფენ როგორც პროფესიული კადრების გადამზადებას, ასევე, პროდუქტების, სერვისებისა და პროცესების ოპტიმიზაციას.
- ექსპერტები მომსახურებას სთავაზობენ მცირე და საშუალო საწარმოებს, სახელმწიფო სტრუქტურებს, ბიზნეს ასოციაციებსა და მომსახურების სექტორებს, რომელთა შორისაც არიან სოციალური, სამედიცინო ინსტიტუტები და პროფესიული სასწავლებლები.

გერმანელი ექსპერტების მოწვევასთან დაკავშირებით დამატებითი

ინფორმაციისთვის დაუკავშირდით ქ-ნ მარია ბრეგაძეს ელ-ფოსტაზე: maria.bregadze@dwv.ge

გახდი წევრი

2026 **წლის** 7 **ივლისი** | Radisson Blu Iveria Tbilisi Hotels, **ვარდების რევოლუციის მოედანი** 1, 0108 **თბილისი**

სემინარი: AI უფრო მეტია, ვიდრე უბრალოდ ჩატბოქსი – პროდუქტიულობის გაზრდა ChatGPT-ის, Gemini-ისა და NotebookLM-ის გამოყენებით

2026 **წლის** 14 **ივლისი** | Tbilisi Philharmonic by Mercure Hotel, **პეტრე მელიქიშვილის ქ.** 10, 0179 **თბილისი**

სემინარი: ხელოვნური ინტელექტი და სამართალი – ვის ეკუთვნის მომავლის იდეები, ნამუშევრები და უფლებები

Get Together

2026 წლის 15 ივლისი | Radisson Blu Iveria Tbilisi Hotels, ვარდების რევოლუციის მოედანი 1, 0108 თბილისი

ღონისძიებებთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაციის მისაღებად დაუკავშირდით ქ-ნ. მარიამ თუშიშვილს mariam.tushishvili@dwv.ge

ჩატარებული ღონისძიებები

2026 წლის მაისში DWV-მ ჩაატარა:

- ტრადიციული Get Together სასტუმრო Tbilisi Philharmonic by Mercure Hotel-ში
- Expert Talk: ხელოვნური ინტელექტი / Artificial Intelligence (AI) Pullman Axis Towers-ში

ხელოვნური ინტელექტი ყურადღების ცენტრში: DWV-ის Expert Talk Pullman Axis Towers-ში

3 ივნისს Deutsche Wirtschaftsvereinigung-მა, Tbilisi International Study Center-თან (TISC) თანამშრომლობით, სასტუმრო Pullman Axis Towers-ში გამართა Expert Talk თემაზე ხელოვნური ინტელექტი / Artificial Intelligence (AI).

ღონისძიების მთავარი აქცენტი იყო AI-ის სფეროში მიმდინარე განვითარებები, პრაქტიკული გამოყენების შესაძლებლობები და ის საკითხი, თუ როგორ შეუძლია ხელოვნურ ინტელექტს კომპანიების, სამუშაო პროცესებისა და ბიზნესმოდელების შეცვლა.

DWV-ის წევრებისა და ღონისძიების სპონსორების, Orient Logic-ისა და Concentrix-ის მისალმების შემდეგ, Michael Dorn-მა (PBD – Experts) და Jean Sebastien Gourdet-მა (OLMAIT LLC) მონაწილეებს გაუზიარეს ხედვები მიმდინარე განვითარებების, პრაქტიკული მაგალითებისა და კომპანიებისთვის KI-ის პოტენციალის შესახებ.

ღონისძიება ჩატარდა ინგლისურ ენაზე და უზრუნველყოფილი იყო სინქრონული თარგმანი ქართულ ენაზე. ღონისძიების შემდეგ მონაწილეებს შესაძლებლობა ჰქონდათ, კულინარიული ნეთვორქინგის ფარგლებში გაეგრძელებინათ თემებზე მსჯელობა და გამოცდილების გაზიარება.

Deutsche Wirtschaftsvereinigung მადლობას უხდის ყველა მონაწილეს, ასევე Orient Logic-სა და Concentrix-ს გულუხვი მხარდაჭერისთვის.

წევრების სიახლეები

Bank of Georgia საქართველოში ახალგაზრდებს საერთაშორისო სტიპენდიის პროგრამების მეშვეობით უჭერს მხარს, მათ შორის Fulbright, Chevening, Nika Gujejiani და United World Colleges. პროგრამები ხელს უწყობს სწავლასა და განათლების მიღებას მსოფლიოს წამყვან საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

Silk Hospitality-მ და Tsinandali Estate Hotel-მა ქართული ეროვნული ბალეტის, „სუხიშვილების“, სამდღიანი ფესტივალი გამართეს. ღონისძიების მთავარი აქცენტი

იყო ანსამბლის 80-წლიანი რეპერტუარის წარმოდგენა და ტრადიციებით გამორჩეული ეროვნული ბალეტის განვითარება.

BLC Law Office ნომინირებულია Legal 500 Central & Eastern Europe Awards 2026-ზე კატეგორიაში „Georgia Firm of the Year". გამარჯვებულები 15 ოქტომბერს ვარშავაში გამოცხადდებიან.

ProCredit Bank Georgia-მ და CENN-მა გარემოს დაცვის მსოფლიო დღეს საქართველოში პირველი International Circular Business Summit გამართეს. ღონისძიების მთავარი აქცენტი იყო ცირკულარული ეკონომიკა, მწვანე დაფინანსება და მდგრადი ინვესტიციები რესურსეფექტიანი და დაბალნახშირბადიანი ეკონომიკის მხარდასაჭერად.

Aversi-მ ჩაატარა ჩოგბურთის ტურნირის „Aversi Cup" დაჯილდოების ცერემონია, რომელშიც საქართველოდან და მეზობელი ქვეყნებიდან 200-ზე მეტი ახალგაზრდა ჩოგბურთელი მონაწილეობდა. ტურნირი ხელს უწყობს ჯანსაღი ცხოვრების წესს, ჩოგბურთის განვითარებას და ახალგაზრდა ტალანტების მხარდაჭერას.

Element Holding-მა, Element Construction-ის მეშვეობით, Telavi Mall-ის სამშენებლო სამუშაოები წარმატებით განახორციელა. კახეთში მდებარე სავაჭრო ცენტრი 15 749 m^2-ს მოიცავს და სავაჭრო, გასტრონომიული, გასართობი სივრცეებითა და კინოთეატრით რეგიონულ ინფრასტრუქტურას აძლიერებს.

ყველა სიახლეს გაეცნობით აქ

ეკონომიკის სიახლეები

საქართველოს ღვინის ექსპორტი ქვეყნის ეკონომიკის მნიშვნელოვან ნაწილად რჩება. 2025 წელს საქართველომ 268 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების ღვინო გაიტანა ექსპორტზე და მსოფლიო რეიტინგში მე-17 ადგილი დაიკავა. 2024 წელთან შედარებით, ექსპორტი მცირედით, 3%-ით შემცირდა. მოცულობის მხრივ, ექსპორტზე გავიდა დაახლოებით 90 000 ტონა ღვინო, რაც წინა წელთან შედარებით 5,2%-ით ნაკლებია.

ბოლო წლებში დარგის განვითარება გარკვეული მერყეობით ხასიათდებოდა. პანდემიამ 2020 წელს სექტორზე უარყოფითი გავლენა იქონია, თუმცა 2021-2024 წლებში ღვინის სექტორი მნიშვნელოვნად აღდგა.

2025 წელს ქართული ღვინო ექსპორტზე სულ 71 ქვეყანაში გავიდა. ყველაზე მნიშვნელოვან საექსპორტო ბაზრად კვლავ რუსეთი დარჩა, სადაც ექსპორტის ღირებულებამ 171 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, რაც ქართული ღვინის მთლიანი ექსპორტის 64%-ს წარმოადგენს. შემდეგ მოდიან პოლონეთი 17 მილიონი აშშ დოლარით, უკრაინა 13,4 მილიონი აშშ დოლარით, ჩინეთი 9,8 მილიონი აშშ დოლარით, ყაზახეთი 9,6 მილიონი აშშ დოლარით და ბელარუსი 8,4 მილიონი აშშ დოლარით.

საქართველოსთვის ღვინის სექტორი კვლავ მნიშვნელოვან საექსპორტო მიმართულებად რჩება და საერთაშორისო ცნობადობას ინარჩუნებს. მიუხედავად 2025 წელს დაფიქსირებული მცირე შემცირებისა, 71 საექსპორტო ბაზარზე ფართო წარმოდგენა აჩვენებს, რომ ქართული ღვინო საერთაშორისო ბაზრებზე კვლავ მნიშვნელოვან როლს ასრულებს.

გერმანიის ეკონომიკური გაერთიანება
რუსთაველის გამზ. 24, 0108 თბილისი
Tel.: +995 32 220 57 67
E-Mail: info@dwv.ge
www.dwv.ge

ბიზნეს ბიულეტენის გამოწერის გასაუქმებლად დააჭირეთ
ქვემოთ მითითებულ ბმულს.